პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 170 (12682)

კვირა, 21 ივლისი, 1963 წ.

ფასი 2 კაპ.

სურათზე: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მოწინავე მეტალურგები (მარცხნიდან მარჯვნივ) უფროსი მვალცავი ა. ლომიძე, მეფოლადეები ა. რეგვ

-შვილი, ა. ფანცულაია, გ. ჩაჩანიძე, მებრძმედეები კ. აბულაძე და ა. ივანიძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტალურგის დღე

ჩვენი დიადი ქვეყნის მეტალურგები შესანიშნავ დღეებში აღნიშნავენ თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს — მეტალურგის დღეს. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სახელოვანი მეტალურგები წარმატებით ახორციელებენ პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების მიერ დასახულ ამოცანებს.

მეტალურგები ვალში არ არიან სამშობლოს წინაშე. პირიქით, ყოველწლიურად გადაჭარბებით სრულდება მეტალურგიული პროდუქციის გამოშვების დავალება. სხვანაირად არც შეიძლება. ლითონით მომარაგებაზე უშუალოდ დამოკიდებულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარება, მეტალურგია — ეს არის ინდუსტრიის არტერია.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ გასული 18 წლის მანძილზე მეტალურგიულმა მრეწველობამ შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა. ზრდის ტემპი ასეთია: ფოლადი — 1945 წლის 12,3 მილიონი ტონიდან 76,3 ტონამდე გაიზარდა, თუჯი — 8,8 მილიონი ტონიდან 55,3 მილიონ ტონამდე, ნაგლინი—8,5 მილიონი ტონიდან 59,2 მილიონ ტონამდე. 1962 წელს გამოვადნეთ იმაზე მეტი ფოლადი და თუჯი, ვიდრე ევროპის კაპიტალისტურმა ქვეყნებმა—გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, ინგლისმა და საფრანგეთმა ერთად და მნიშვნელოვნად მივუახლოვდით ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ამ საერთო წარმატებაში ღირსეული წვლილი მიუძღვით ჩვენი რესპუბლიკის მეტალურგებს. ყოველწლიურად არნახული ტემპით იზრდება მეტალურგიული პროდუქციის გამოშვება. 1962 წელს 1961 წელთან შედარებით თუჯის გამოდნობა გადიდდა 55 ათასი ტონით, ფოლადისა — 78 ათასი ტონით, ნაგლინისა — 65 ათასი ტონით.

რუსთაველმა მეტალურგებმა შვიდწლედის განვლილ ოთხ წელიწადში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. ჯერ კიდევ შარშან მიაღწიეს შვიდწლედის უკანასკნელი წლის მიჯნას თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის წარმოების მხრივ, ხოლო მილების წარმოების მხრივ მიმდინარე წელს უკან მოიტოვებს შვიდწლედის საკონტროლო ციფრს.

ზესტაფონელმა მეტალურგებმა შეცნიერებთან თანამეგობრობით საჭიროებენ გაიოქვეს სახელი. აქ აითვისეს და დანერგეს ოცდახუთზე მეტი ახალი მარკის შენადნობის ტექნოლოგია. ბევრი ძვირფასი შენადნობი პირველად საბჭოთა კავშირში სწორედ ზესტაფონელმა მეტალურგებმა მიიღეს, ამიტომ ზესტაფონის ფერშენადნობთა ქარხანას სრულიად სამართლიანად შეარქვეს მეტალურგთა საკავშირო ლაბორატორია.

ზესტაფონელმა მეტალურგებმა ამჟერადაც ისახელეს თავი. ექვსი თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს და სამშობლოს გეგმის გადამეტებით დიდძალი ფერშენადნობი მისცეს.

ჭიათურის მაღაროთა კოლექტივებმა მეტალურგის დღის აღსანიშნავად გაჩაღებულ შეჯიბრებაში ახალი წარმატება მოიპოვეს. შვიდი თვის დავალება დიდი ხანია შეასრულეს და მარგანეცს აგვისტოს ანგარიშში იღებენ.

მეტალურგებო! კიდევ უფრო გავაძლიეროთ შრომის ტემპი, გამოვადნოთ რაც შეიძლება მეტი ლითონი და ამით დავაჩქაროთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადება.

დარბაზობა კრემლში

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

მოსკოვი, 20 ივლისი. (საკდესი). სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ დღეს კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა მოაწყვეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ დელეგაციის წევრები უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარის იანოშ კადარის მეთაურობით.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ, აგრეთვე კრმუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

სტუმრებს შორის იყვნენ უცხოელი დიპლომატები.

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ერთობლივ განცხადებას

მოსკოვი, 20 ივლისი. (საკდესი). დღეს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ერთობლივ განცხადებას.

განცხადებას ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარემ იანოშ კადარმა.

განცხადების ხელის მოწერას დაესწრნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, აგრეთვე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები.

გრძელდება აზრთა გაზიარება სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა შორის

20 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ა. ჰარიმანი, დიდი ბრიტანეთის მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხთა მინისტრი ლორდი ჰეილშემი და მათი მრჩევლები განიხილავდნენ პროექტს შეთანხმებისა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

გრძელდებოდა აგრეთვე აზრთა გაზიარება ურთიერთსაინტერესო სხვა საკითხებზე.

შემდეგი შეხვედრა გაიმართება 22 ივლისს.

20 ივლისი — პლანტაციებში

ლანჩხუთის საწარმოო სამმართველოში შემავალ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყოველდღე ძლიერდება ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. გუშინ მოიკრიფა 130 ტონა „მწვანე ოქრო“, სეზონის დაწყებიდან სულ — 6.500 ტონა, რაც წლიური გეგმის 69,2 პროცენტს შეადგენს. 19 დღეში ივლისის გეგმა შესრულებულია 70 პროცენტით.

დაწინაურდა სოფელ ქვემო აკეთის კოლმეურნეობის წევრი ზოია სალუქვაძე, მას წლიური გეგმით უნდა მოეკრიფა 2.800 კილოგრამი ფოთოლი, გუშინდელი დღის ჩათვლით უკვე მოკრიფა 3 ათასი კილოგრამი.

ჩაქვის საწარმოო სამმართველოს მეჩაიეები უკანასკნელ დღეებში უფრო ენერგიულად მუშაობენ. მაგალითად, 19 ივლისს მოიკრიფა 331 ტონა ჩაის ფოთოლი, გუშინ — 368 ტონა. სეზონის დაწყებიდან ჩაქველმა მეჩაიეებმა 19.715 ტონა ფოთოლი მოკრიფეს და ამით წლიური გეგმა 79.5 პროცენტით შესრულეს, ხოლო 18 დღეში მოკრიფეს 4.095 ტონა და ივლისის გეგმა 79.4 პროცენტით შესრულეს.

ლამარა მოდებაძემ ახალსოფლის კოლმეურნეობაში პირველმა შესრულა ფოთლის კრეფის წლიური გეგმა, მოკრიფა 2.300 კილოგრამი ნაცვლად 1.800 კილოგრამისა, ხოლო სოფელ ქობულეთის კოლმეურნეობის წევრმა თინა ხასიძემ კრეფის წლიურ გეგმას 400 კილოგრამით გადააჭარბა, გუშინ 70 კილოგრამი მოკრიფა.

სამტრედიის საწარმოო სამმართველოში შემავალმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გუშინ 54 ტონა „მწვანე ოქრო“ მოკრიფეს. სულ მოკრეფილია 2.086 ტონა. ეს წლიური გეგმის 76 პროცენტს შეადგენს.

კვლავ წინ მიდის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური დალი წივწივაძე. მან გუშინ წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფა 90 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი.

გაიხსნა ინდოეთის ეროვნული გამოფენა

მოსკოვი, 20 ივლისი. (საკდესი). დღეს მოსკოვში „სოკოლნიკის“ კულტურისა და დასვენების პარკში მაღალ ანძებზე აღმართეს ინდოეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირს სახელმწიფო ალმები. აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ინდოეთის ეროვნული გამოფენა.

დილის 10 საათზე მოვიდნენ ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. მიკოიანი, შ. რ. რაშიდოვი. სტუმრებს შორის იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. დიმიჩევი, ი. ტ. ნოვიკოვი, კ. ნ. რუდნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატათა თავმჯდომარეები ი. ვ. სპირიდონოვი, ი. ვ. პეტროვ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გოლოვცევი.

შეკრებილთ მოკლე სიტყვით მიმართა საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ვ. ნესტეროვმა. შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს ინდოეთის ელჩმა საბჭოთა კავშირში ტ. ნ. კაულმა, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ს. ა. ბორისოვმა, ინდოეთის საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მინისტრმა მანუბჰაი შახმა და სხვებმა.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის მეთაურს ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას.

ნ. ს. ხრუშჩოვმა გულწრფელი მადლობა უძღვნა ინდოელ მეგობრებს კეთილი სიტყვებისათვის ჩვენი ქვეყნისა და საბჭოთა ხალხისადმი, ამისათვის, რომ მათ მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა კავშირის მეცადინეობას ინდოეთის ეკონომიკის განვითარებისადმი დახმარების გაწევაში.

ჩვენ, თქვა მან, აგრეთვე დიდად ვაფასებთ ინდოეთის მთავრობის მეცადინეობას იმისათვის, რომ განამტკიცოს მეგობრული ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მოიგონა თავისი ვიზიტი ინდოეთში და განსაკუთრებით შეეხო ბჰილაის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობის დათვალიერებას. მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობა ამ ქარხნის მშენებლობის დროს კეთილნაყოფიერი იყო და რომ ასეთი თანამშრომლობა გრძელდება სხვა ობიექტების მშენებლობის დროსაც. საბჭოთა ინჟინრები, ტექნიკოსები, მუშები მეტად კმაყოფილი იყვნენ იმით, რომ მათ კარგად ექცეოდნენ ინდოელები. რომლებთანაც ერთად მუშაობდნენ ბჰილაის ქარხნის აგების დროს.

ჩვენ კმაყოფილების გრძნობას განვიცდით იმის გამო, რომ ამ მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა სხვა ქარხნებზე უფრო ადრე დამთავრდა, ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი. ინდოეთში ერთსა და იმავე დროს შენდებოდა სამი მეტალურგიული საწარმო: ერთი საბჭოთა კავშირის დახმარებით, მეორე — დასავლეთ გერმანიის დახმარებით და მესამე — დიდ ბრიტანეთის დახმარებით. ეს, ხატოვნად რომ ვთქვათ, იყო თითქოსდა პირველი შეჯიბრება სამი ქვეყნისა ერთ სამშენებლო მოედანზე. ჩვენ მშენებლობა დასავლეთ გერმანიაზე და დიდ ბრიტანეთზე გვიან დავიწყეთ, ფინიშთან კი პირველი მივედით. ეს ფაქტი მოწმობს, თუ რა მაღალ დონეს მიაღწია თავის განვითარებაში ჩვენმა ქვეყანამ.

დასასრულ ნ. ს. ხრუშჩოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა გამოფენის ორგანიზატორებს იმისათვის, რომ მას პატივი ეცა ინდოეთის ეროვნული გამოფენა საბჭოთა კავშირში.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა გადაჭრა ლენტი და გახსნა გამოფენა. სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს მრავალი ექსპონატი.

• • •

პრემიერ-მინისტრმა ნერუმ წერილი გამოგზავნა ინდოეთის ეროვნული გამოფენის გახსნის გამო. წერილში ნათქვამია:

„გარდა იმისა, რომ ფართოვდება ჩვენი ორი ქვეყნის თანამშრომლობა ვაჭრობისა და კულტურის დარგში, კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს იმ მეგობრობის განმტკიცებას, რომელიც მათ აერთიანებს.

ჩვენ განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ მეგობრულ ურთიერთობას, და მე მიმაჩნია, რომ ეს ურთიერთობა მეტად დიდმნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენი ორი ქვეყნისათვის, არამედ საყოველთაო მშვიდობისთვისაც“.

საბჭოთა მთავრობა მოითხოვს ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტას

დეპეშების გაცვლა ნ. ს. ხრუშჩოვსა და უ ტანს შორის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა უპასუხა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ ტანის კეთილი ნების წერილზე, რომელშიც გამოთქმულია იმედი, რომ მოსკოვის მოლაპარაკება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე წარმატებით დამთავრდება.

ნ. ს. ხრუშჩოვი საპასუხო დეპეშაში აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა მრავალი წლის განმავლობაში ახორციელებს ღონისძიებებს, რომ მიღწეულ იქნეს ასეთი საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც ბოლოს მოუღებს ატომური იარაღის გამოცდას.

ჩვენ ვფიქრობთ, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი, რომ ახლა შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ასეთი შეთანხმების მიღწევისათვის.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ შეთანხმების დადებასთან ერთად უნდა გადაიდგას მეორე დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯიც — დაიდოს თავდაუსხმელობის პაქტი ნატოს მონაწილე სახელმწიფოებსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს შორის. (საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ჯ. ლეზინისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, რომელთა დანერგვამ მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი მოგვცა, ამხ. ვლადლენ პეტრეს-ძე ლეზინს მიენიჭოს საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი 1963 წლის 20 ივლისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხაზგრძლივი და საყოფაერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება:

1. სემონოვს სერგო აბრამის-ძეს
2. ტერ-ოგანეზოვს ვაზგენ ვართანის-ძეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი 1963 წლის 20 ივლისი.

საბჭოთა ლიტერატურის სიამაყე

ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

რესპუბლიკის საზოგადოებრივობამ დიდი სიყვარულით, უდიდესი პატივისცემის გრძნობით აღნიშნა ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 70 წლისთავი. ხელოვნების მუშაკთა სახლის საზაფხულო თეატრში, სადაც საიუბილეო საღამო გაიმართა, შეიკრიბნენ ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

საიუბილეო საღამოს პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **გ. ა. გეგეშიძე, ო. დ. გოცირიძე, დ. ს. ზემლიანსკი, შ. ი. ჭანუყვაძე, რ. ი. ფრუიძე, ო. ე. ჩერქეზია,** პოეტის თანამედროვე ქართველი მწერლები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. გ. სტურუამ.**

მოხსენება ვლადიმერ მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთა პოეტმა **სიმონ ჩიქოვანმა.**

საღამოზე სიტყვები და მოგონებები წაიკითხეს საქართველოს სახალხო პოეტმა **გ. ლეონიძემ,** მაიაკოვსკის რაიონის მშრომელთა სახელით — სოფელ დიმის საშუალო სკოლის დირექტორმა **გ. თავხელიძემ,** რუსმა პოეტმა **ბ. ჩორნიმ.**

პოეტმა **ხ. ბერულავამ** წაიკითხა მაიაკოვსკის „ლექსი საბჭოთა პასპორტზე“, რომელიც თვითონ თარგმნა ქართულ ენაზე.

საღამოს დასასრულს გაიმართა კონცერტი ქართული ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით. (საკდესი).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ახალი წარმატებანი მოიპოვეს განვლილ ნახევარ წელიწადში ეკონომიკის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლებაში.

I. მრეწველობა

საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა შესრულდა 108 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 8,5 პროცენტით. განვლილ ოთხ წელიწადნახევარში ამ პერიოდისათვის შვიდწლიანი გეგმის დავალებათა გადამეტებით წარმოებულია 33 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

მრეწველობის ცალკეული დარგების პროდუქცია გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა შემდეგნაირად:

ქიმია	17 პროცენტით
აქედან სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები	22 „
შავი და ფერადი მეტალურგია	9 „
საბობრი და ენერგეტიკა	9 „
მანქანათმშენებლობა და ლითონის დამუშავება	14 „
აქედან სასოფლო-სამეურნეო მანქანები	17 „
საშენი მასალები	6 „
ხე-ტყე, ქაღალდი და ხის დამუშავება	7 „
მსუბუქი მრეწველობა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები	3 „
კვების მრეწველობა	6 „

ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის წარმოებისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის წარმოების ნახევარი წლის გეგმა.

ცალკეულ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	წარმოებულია 1963 წლის I ნახევარში	1963 წლის I ნახევარი პროცენტი 1962 წლის I ნახევრისა	
მინერალური სასუქები — მილიონი ტონა	9,4		113
ხელოვნური და სინთეზური ბოჭკო — ათასი ტონა	151		111
ქაუსტიკური სოდა — ათასი ტონა	508		109
კალცინირებული სოდა — მილიონი ტონა	1,2		109
გოგირდმჟავა — მილიონი ტონა	3,4		112
ავტომობილის საბურავები — მილიონი ცალი	11		108
თუჯი — მილიონი ტონა	28,7		106
ფოლადი — მილიონი ტონა	39,6		105
ნაგლინი — მილიონი ტონა	31		107
ფოლადის მილები — მილიონი მეტრი	613		113
რკინის მადანი — მილიონი ტონა	67		108
ნავთობი — მილიონი ტონა	99		111
გაზი — მილიარდი კუბური მეტრი	44,5		122
ქვანახშირი — მილიონი ტონა	262		102
აქედან საკოქსავი ქვანახშირი	62,4		107
ელექტროენერგია — მილიარდი კილოვატ-საათი	204		113
ტურბინები — მილიონი კილოვატი	6,1		111
ტურბინის გენერატორები — მილიონი კილოვატი	5,7		110
ცალადი დენის ელექტროძრავები — მილიონი კილოვატი	13,6		109
ლითონსაჭრელი ჩარხები — ათასი ცალი	89,9		104
ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზები მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავებისათვის — კომპლექტი	72		104
სამჭედლო — საწნეხი მანქანები — ათასი ცალი	17,2		106
ხელსაწყოები — მილიონი მანეთი	839		116
მეტალურგიული მოწყობილობა — ათასი ტონა	119		99,9
ნავთობაპარატურა — ათასი ტონა	60		99,5
ქიმიური მოწყობილობა — მილიონი მანეთი	139		108
საქსოვი დაზგები — ათასი ცალი	12,6		112
სამაგისტრალო თბომავლები — სექცია	700		95
სამაგისტრალო ელმავლები — ცალი	321		107
ტროლეიბუსები — ცალი	471		121
ავტომობილები — ათასი ცალი	293		102
ტრაქტორები — ათასი ცალი	159		117
ტრაქტორის გუთნები — ათასი ცალი	81,8		129
ტრაქტორის სათესები — ათასი ცალი	97,7		131
ტრაქტორის კულტივატორები — ათასი ცალი	74,1		122
კომბაინები — ათასი ცალი:			
მარცვლეულის	41,7		106
სიმინდის ასაღები	14,7		123
ჭარხლის ასაღები	6,4		150
სილოსის ასაღები	27,6		126
ბამბის ასაღები მანქანები — ათასი ცალი	3,2		108
ტრაქტორის სათიბი მანქანები — ათასი ცალი	49,8		86
მარცვლის საწმენდი მანქანები — ათასი ცალი	6,8		123
ექსკავატორები — ათასი ცალი	8,9		106
ავტოგრეიდერები — ათასი ცალი	2,1		128
სამასალე მერქნის გამოზიდვა (სოლმეურნეობების ხე-ტყის დამზადების გარდა) — მილიონი კუბური მეტრი	137		106
ქაღალდი — მილიონი ტონა	1,4		103
ცემენტი — მილიონი ტონა	30,3		110
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები — მილიონი კუბური მეტრი	21,5		109
შიფერი — მილიარდი პირობითი ფილა	1,9		104
რბილი სახურავი — მილიონი კვადრატული მეტრი	443		108
ფანჯრის მინა — მილიონი კვადრატული მეტრი	81,1		104
ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი:			
ბამბისა	2512		102
შალისა	226		98
სელისა	258		104
აბრეშუმისა	399		108
შეკერილი ნაწარმი — მილიარდი მანეთი	4,8		99,4
ტრიკოტაჟის საცვლები — მილიონი ცალი	273		107
ზედა ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი	65		107
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	231		100,5
ყველა სახის საათები — მილიონი ცალი	13,3		105
რადიომიმღებები და რადიოლებები — მილიონი ცალი	2,1		101
ტელევიზორები — ათასი ცალი	1171		110
მაცივრები — ათასი ცალი	444		111
სარეცხი მანქანები — ათასი ცალი	1067		128
საკერავი მანქანები — მილიონი ცალი	1,4		85
მოტოციკლები და მოტოროლერები — ათასი ცალი	320		105
გელოსიპედები და მოტოველოსიპედები — მილიონი ცალი	1,7		107
ავეჯი — მილიონი მანეთი	767		110
ხორცი — მილიონი ტონა (*)	1,7		119
ძეხვეული — ათასი ტონა	679		109
თევზეული და ზღვის ნაღირის მოპოვება — მილიონი ტონა	2,5		108
ერბო-კარაქი — ათასი ტონა (*)	336		93
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით (რძე, ხაჭო, კეფირი, მაწონი, ნაღები, არაქანი, ხაჭოს კვერი და სხვ.) — მილიონი ტონა (*)	4,8		102
ყველი — ათასი ტონა	97		104
მცენარეული ზეთი — მილიონი ტონა (*)	1,1		107
საკონდიტრო ნაწარმი — მილიონი ტონა	1,1		107
კონსერვები — მილიარდი ქილა	1,9		112
სპირტი — ათასი ტონა	434		108

სამრეწველო პროდუქციის მეტ წილ ზემოჩამოთვლილ სახეობათა წარმოების წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია მთლიანად და გადაჭარბებით. ამავე დროს, თუმცა წარმოება გაიზარდა, მაგრამ რამდენადმე დაკლდა კაუსტიკური სოდის, გოგირდმჟავის, თუჯის, ჰიდროტურბინების გენერატორების, სილოსის ასაღები კომბაინების, ასაწყობი რკინაბეტონის, რადიომიმღებებისა და რადიოლების, ველოსიპედებისა და მოტოველოსიპედების, ავეჯის გეგმის შესრულებას.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარება ხორციელდებოდა წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, ახალი უფრო სრულყოფილი და მეტი წარმადობის მანქანების წარმოების ათვისებისა და დანერგვის საფუძველზე.

სამრეწველო საწარმოებმა განვლილ ნახევარ წელში **ათვისეს და დაამზადეს 300-მდე ახალი უმნიშვნელოვანესი სახეობის მანქანები, მოწყობილობა, ხელსაწყოები და სხვადასხვა დანიშნულების ახალი სახეობის მასალები.** ამავე ხნის განმავლობაში წარმოებიდან მოიხსნა 120-ზე მეტი სახეობის მანქანები, მოწყობილობა, აპარატები და მოძველებული კონსტრუქციის ხელსაწყოები. დიდი მოცულობით ხორციელდებოდა მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაცია მრეწველობის ყველა დარგში; **სახალხო მეურნეობის საბჭოების მანქანათმშენებლო საწარმოებში** მოდერნიზებულია დაახლოებით 29 ათასი ერთეული მოწყობილობა.

(*) აქედან კოლმეურნეობების წარმოებისა და მოსახლეობის შინ წარმოების გარდა.

(დასასრული მე-2 გვ.).

ფოლადის მარჯვენით

ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ რუსთავის მეტალურგები თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს — მეშახტის დღეს. მიმდინარე წელს გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები. სისტემატურად უმჯობესდება ქარხნის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. შპალასანელი ოთხი ღლის მაძიერზე პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით ძარხნის ზარალიანობა შეამცირებულ იქნა 75 პროცენტით.

წარმოების ეს მიღწევები განპირობებულია მთელი კოლექტივის ენერგიული და შემოქმედებითი შრომით, წარმოებაში ახლის, მოწინავისა და პროგრესულის დანერგვით. განსაკუთრებით დიდი ეკონომიური ეფექტი მოგვცა მარტენის ღუმელების რეკონსტრუქციამ, საექსპლოატაციოდ 1000 ტონიანი პაკეტირპრესის, საბოყვეების მექანიზებული დაზეთვის დანადგარების, „320“ დგანის მეორე მეთოდური ღუმელის და სხვათა გადაცემამ. „900“ და „2100“ დგანების ბუნებრივ გაზზე გადაყვანამ, დგან „400“-ის ხრულმა ავტომატიზაციამ და სხვ.

ქარხანაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბრძმედის მარგი მოქმედების კოეფიციენტი. ამ მხრივ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას საბჭოთა კავშირში მეშვიდე ადგილი უჭირავს.

ქარხნის ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესების საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ წარმოების რაციონალიზატორებს, ნოვატორებს. წელს 6 თვეში რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის შედეგად მიღებულია 700.000 მანეთი ეკონომია. ამრიგად ვალდებულება— შვიდწლედის ბოლოსათვის რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მიგვეღო 4.410 ათასი მანეთი ეკონომია — უკვე შესრულებულია. ტექნიკური სიახლეების დანერგვაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩემიამ, უდანოვმა, მაჭარაშვილმა, სუბაშვილმა და სხვებმა.

ეს წარმატებები მოპოვებულია იმის შედეგად, რომ ქარხანაში ფართოდ არის გაჩაღებული შეჯიბრება კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელწოდების მოსაპოვებლად. იმყამად ამ საპატიო წოდებას უკვე ატარებს 8 საამქრო, 196 ბრიგადა და 8 უბანი.

დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობს ქარხანაში საგლინავი საამქროს კოლექტივი. მან საამქროთა შორის პირველმა მოიპოვა კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელი. 8 თვეში საამქროს კოლექტივმა გეგმის ზევით გამოუშვა რამდენიმე ათეული ტონა მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

საყოველთაოდ გაითქვეს სახელი კომუნისტური შრომის იმ ბრიგადებმა და უბნებმა, რომლებსაც ცნობილი მეტალურგები ბენდიანიშვილი, ყაზაროვი, თევზაძე, ვაშაკიძე, ბერეგოვნელი და სხვები ხელმძღვანელობენ.

დიდი უურადღება ექცევა კოლექტივის ტექნიკური და ზოგადი განათლების ამაღლებას, სისტემატურად იზრდება იმ მუშების რიცხვი, ვინც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ იღებს ცოდნას. ამჟერად ტექნიკუმებში სწავლობს 320 კაცი, ინსტიტუტებში 365, ხოლო საშუალო სკოლებში — 500-ზე მეტი კაცი.

დიდი ამოცანების წინაშე დგანან რუსთაველი მეტალურგები. მომავალში მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს თუჯის, ფოლადის, ნაგლინის და სხვა მეტალურგიული პროდუქციის გამოშვება. მომავალ წელს უნდა განხორციელდეს მილნამზადის დგანის რეკონსტრუქცია. ეს მოითხოვს აქედანვე იქნას დაწყებული მოსამზადებელი სამუშაოები, გამზადდეს ტექნიკური დოკუმენტაცია და უზრუნველყოფილ იქნას იგი დანადგარებით პერსპექტივაში დგას აგრეთვე ბლუმინგის, „820“ და „2100“ დგანების რეკონსტრუქცია, აგრეთვე საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია.

ყველა ეს ტექნიკური და ორგანიზაციული საკითხი კოლექტივის ყოველდღიური ყურადღების ცენტრში დგას. მათი წარმატებით გადაწყვეტა მთლიანად დამოკიდებულია ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსების, წარმოების ნოვატორების უნარიან, შემოქმედებითს შრომაზე.

ჩვენს კოლექტივში არის საკმაოდ ძლიერი და მდიდარი გამოცდილების მქონე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. მას უნარი შესწევს წარმატებით გადაჭრას წარმოების ესა თუ ის მტკივნეული საკითხი.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია წარმოების ეკონომიკის საკითხი. ქარხანამ ამ მხრივ უდავოდ მოიპოვა პირველი წარმატებები. წელს 6 თვეში თვითღირებულების შემცირების გზით მიღებულია 956.000 მანეთი ეკონომია. მაგრამ ეს როდი მეტყველებს იმაზე, რომ რენტაბელური მუშაობის მხრივ გაკეთებულია ყველაფერი. ჯერ კიდევ მრავალი რეზერვი და შესაძლებლობა არ არის მთლიანად გამოყენებული. ქარხნის ახალი ვალდებულება იმაში მდგომარეობს, რომ შვიდწლედის ბოლოსათვის მიაღწიოს რენტაბელურ მუშაობას. ამისათვის საჭიროა არ შეეგნელოთ ბრძოლა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, არასაწარმოო ხარჯების ლიკვიდაციისათვის.

რუსთაველი მეტალურგები, რომლებიც თავგამოდებით იბრძვიან პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ყველა ღონეს იხმარენ, რომ ამრავლონ წარმატებები. სამშობლოს საკეთილდღეოდ გამოუშვან მეტი მეტალურგიული პროდუქცია და ამით, თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადების საქმეში.

ო. სულაძე,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი.

მაღაროელთა შრომითი თავდადება

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცი მეტალურგიის პერია, უმარგანეცოდ არ არის ფოლადი, წარმოუდგენელია შავი მეტალურგია—ჩვენი ინდუსტრიის საფუძველი. ეს კარგად აქვთ შეგნებული მაღაროელებს — მეტალურგების ღვიძლ ძმებს. ამიტომ თავდადებულად შრომობენ. მეტალურგიულ ქარხნებისაკენ შეუწყვეტელ ნაკადად მიედინება მადნით დატვირთული ეშელონები.

მარგანეცის ქალაქში ახალი ძალით გაჩაღდა შეჯიბრება მეტალურგის დღისა და საქართველოს კომუნისტთა XXII ყრილობის შესახვედრად. ამჟამად აქ ყველა მაღაროა გადაჭარბებით ახორციელებს სასაქონლო მარგანეცის დამზადების დავალებებს. მაღაროებისა და ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის კოლექტივებმა კარგახანია სამშობლოს უპატაკეს შვიდთვის გეგმების შესრულება. ჭიათურელებმა მეტალურგებს გაუგზავნეს რამდენიმე ათეული ათასი ტონა ზეგეგმითი მარგანეცი.

ამ წარმატებებში თავიანთი წვლილი შეაქვთ დიმიტროვისა და ორჯონიკიძის სახელობის, ახალი ითხვისის მაღაროთა კოლექტივებს. მამაცურად შრომობენ მაღაროელები დ. კილაძე, ა. დვალაშვილი, ი. კოლადე, მ. ღუღუნიშვილი, გ. ბაკრაძე, ლ. გაფრინდაშვილი და სხვ.

მოდის ძვირფასი შენაძენები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). გამართულად, რენტაბელურად მუშაობს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი. მან ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა რამდენიმე ათასი ტონა ძვირფასი შენადნობები. შრომის ნაყოფიერება გაადიდა 7 პროცენტით, დაზოგა 6.977 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, დიდძალი ნედლეული და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით ასეულ ათასობით მანეთი დააგროვა. ზესტაფონელი მეტალურგები იბრძვიან რესპუბლიკაში პირველი ადგილისა და გარდამავალი წითელი დროშის შენარჩუნებისათვის. მათ მაღალი მაჩვენებლებით დაიწყეს ივლისი, გადაჭარბებით შეასრულეს ორი დეკადის დავალება.

სურათზე: სადნობი საამქროს მოწინავე მექურეები ნ. ჭულუხაძე (მარცხნივ) და ჟ. გოგოგაძე.

მეტი ლითონისათვის მამაცურად იბრძვიან სახელმოხვეჭილი მეტალურგები ლ. კობახიძე, გ. ნანიტაშვილი, ბ. გამგებელი, ს. კიკნაძე, ო. კაპანაძე, კ. მდივანი და ასობით მდნობელი თუ მექურე.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

(დასასრული)

გასულ წელთან შედარებით რამდენადმე გაუმჯობესების მიუხედავად სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა წარმოებაში დანერგვის გეგმები მთლიანად არ შესრულებულა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის (1962 წელი) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ხორციელდებოდა სამეცნიერო-საკვლევო, საპროექტო-საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციების სახელმწიფო დარგობრივი და საწარმოო კომიტეტების გამგებლობაში გადაცემისა და თავმოყრის სამუშაოები. სახელმწიფო კომიტეტების გამგებლობაში ამჟამად არის 1.700-ზე მეტი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაცია.

წლის პირველ ნახევარში სახალხო მეურნეობაში დაინერგა დაახლოებით ერთი მილიონ ოთხასი ათასი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება წარმოების ტექნიკური სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის, რაც იძლევა 750 მილიონ მანეთზე მეტ ეკონომიას წელიწადზე გაანგარიშებით.

შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა თითქმის 6 პროცენტით. ნახევარი წლის გეგმა მთლიანად საბჭოთა კავშირში და ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, გარდა ლატვიისა და რესპუბლიკისა, შესრულდა. სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. გასულ წელთან შედარებით თვითღირებულების შემცირებამ, შესადარ პირობებში, შეადგინა დაახლოებით ერთი პროცენტი, მაგრამ ბევრმა საწარმომ ვერ შეასრულა შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებანი.

მთლიანად სახალხო მეურნეობაში ნახევარი წლის მანძილზე მიღებულია მოგება დაახლოებით 3 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში, ხოლო თუ მხედველობაში არ მივიღებთ დამატებით ანარიცხებს იმასთან დაკავშირებით, რომ მომდინარე წელს გადიდდა ძირითადი ფონდების ამორტიზაციის ნორმები, საწარმოთა დაგროვება 9 პროცენტით გაიზარდა.

II.

სოფლის მეურნეობა

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები ჩვენი ქვეყნის მეტ წილ რაიონებში მიმდინარეობდა ამინდის არახელსაყრელ პირობებში, რის გამო საგაზაფხულო კულტურების თესვა ჩვეულებრივზე გვიან დაიწყო.

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა წარმატებით გადალახეს ეს სიძნელეები, ორგანიზებულად და შემჭიდროებულ ვადებში განახორციელეს მინდვრის სამუშაოები და გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო თესვის გეგმა.

ყველა სახოფლო-სამეურნეო კულტურის ნათესი ფართობები, შესაბამისი წლის საშემოდგომო ნათესების ჩათვლით, ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (მილიონ ჰექტარობით):

	1962 წ.	1963 წ.
მთელი ნათესი ფართობი	216,0	218,1
მათ შორის:		
მარცვლეული კულტურები (გარდა სიმინდისა)	121,7	129,6
ხორბალი	67,4	67,0
ფეტვი	4,3	4,7
წიწიბურა	2,3	2,0
სამარცვლე პარკოსანი კულტურები	7,2	12,8
მათ შორის:		
ბარდა	4,3	9,0
ლობიო	0,03	0,1
საკვები სამარცვლე პარკოსნები	0,68	0,76
შვრია	6,9	6,0
სიმინდი მარცვლად, სასილოსედ და მწვანე საკვებად	37,1	33,9
მათ შორის სრული სიმწიფის მარცვლად	7,0	9,1
შაქრის ჭარხალი		
საფაბრიკო	3,2	3,3
პირუტყვის საკვებად	2,8	2,4
ბამბა	2,39	2,43
ზეთოვანი კულტურები	6,0	6,3
მათ შორის მზესუმზირა	4,4	4,6
სამბოჯოე სელი	1,7	1,5
კარტოფილი	8,7	8,5
ბოსტნეული	1,5	1,4
ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახები — სულ	27,3	24,7
მათ შორის გასული წლების ნათესი მრავალწლიანი ბალახები	15,2	13,1

ყველა სახოფლო-სამეურნეო კულტურის ნათესმა ფართობებმა შეადგინა 218,1 მილიონი ჰექტარი და გასულ წელთან შედარებით გადიდდა 2,1 მილიონი ჰექტარით.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაუმჯობესეს ნათესი ფართობების ხტრუქტურა, გადიდეს მაღალპროდუქტიული კულტურების ნათესები მცირეპროდუქტიული კულტურებისა და მოუთესავი ანეულების ფართობების შემდგომი შემცირების გზით.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც ახორციელებენ მარცვლეულის წარმოებისა და შესყიდვის შემდგომი გადიდების უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანას, გაადიდეს მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობები. მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურები (გარდა სიმინდისა) დათესილია 129,6 მილიონი ჰექტარი, ანუ 7,9 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე გასულ წელს. ამასთან სამარცვლე პარკოსანი კულტურების ნათესები გადიდდა 5,6 მილიონი ჰექტარით, მათ შორის ბარდისა — 4,7 მილიონი ჰექტარით. ხორბლის ნათესები, საშემოდგომო ნათესების მნიშვნელოვანი დაღუპვის მიუხედავად, შენარჩუნებულია დაახლოებით გასული წლის დონეზე.

მზესუმზირას ნათესები გადიდდა 168 ათასი ჰექტარით, საფაბრიკო შაქრის ჭარხლისა — 156 ათასი ჰექტარით.

სიმინდი დათესილია 33,9 მილიონი ჰექტარი, ესე იგი რამდენადმე ნაკლები, ვიდრე გასულ წელს, ამასთან სრული სიმწიფის მარცვლად სიმინდი დათესილია 2,1 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე ფაქტიურად აღებული იყო გასულ წელს. რამდენადმე შემცირდა პირუტყვის საკვები შაქრის ჭარხლის, ბამბოჯოე სელისა და კარტოფილის ფართობები.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წლის მანძილზე გადიდდა 3 მილიონი სულით, აქედან ძროხისა — 1,6 მილიონი სულით; ცხვრისა და თხის სულადობა გადიდდა 2,7 მილიონი სულით, ღორისა და ფრინველის სულადობა რამდენადმე შემცირდა.

მოსახლეობის პირად საკუთრებაში მყოფი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა ამ პერიოდში გადიდდა 4 პროცენტით; ძროხის, ცხვრისა და თხის სულადობა თითქმის შარშანდელი წლის დონეზე დარჩა, ხოლო ღორის ხულადობა შემცირდა.

ხორცის წარმოება გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდა 3 პროცენტით. რძის საერთო ნაწველი საკვების მხრივ სიძნელეების შედეგად, რაც დაკავშირებული იყო გაჭიანურებულ და ცივ გაზაფხულთან, რამდენადმე შემცირდა, მიუხედავად ძროხის სულადობის მატებისა.

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (ათასობით ტონა):

	შესყიდულია 1962 წლის I ნახევარში	შესყიდულია 1963 წლის I ნახევარში	1963 წლის პროცენტობით 1962 წლის შედარებით
პირუტყვი და ფრინველი დაკლულ წონაზე გადაანგარიშებით	1882	2158	115
რძე	13413	13034	97
კვერცხი — მილიონი ცალი	6214	6189	99,6

პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, ხოლო რძისა და კვერცხისა მთლიანად არ შესრულებულა.

გრძელდებოდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განტკიცება. მაგრამ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გამოყენებული ტექნიკა, რომელიც მათ აქვთ.

სოფლის მეურნეობამ წლის პირველ ნახევარში მიიღო 113 ათასი ტრაქტორი (ფიზიკური ერთეული), ანუ 206 ათასი 15-ძალიანზე გაანგარიშებით, 39 ათასი სატვირთო ავტომობილი, იმის ჩათვლით, რაც სატრანსპორტო ორგანიზაციებს მიაწოდეს მოსავლის ასაღებად, 42 ათასი მწკრივად სამკალი, 38 ათასი მარცვლეულის ასაღები, 27 ათასი სილოსის ასაღები კომბაინი, 14 ათასი სომინდის ასაღები კომბაინი, 6 ათასი ჭარხლის ასაღები კომბაინი, 3 ათასზე მეტი ბამბის საკრეფი მანქანა, 20 ათასი ბაწვილი დანადგარი. სოფლის მეურნეობამ მიიღო აგრეთვე ტრაქტორების ბევრი კიდული და მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო მანქანები: 46 ათასი სათიბელა, 21 ათასი ფოცხი, 21 ათასი უნივერსალური სატვირთველი, 78 ათასი გუთანი, 94 ათასი სათესი მანქანა, 70 ათასი კულტივატორი, 7 ათასი კარტოფილსათხრელი და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა და მოწყობილობა, აგრეთვე მინერალური სასუქები.

III.

ტრანსპორტი

ცალკეულ სახეობათა ტრანსპორტის მიერ ნახევარი წლის გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	ტვირთბრუნვა და ტვირთზიდვა 1963 წლის I ნახევარში	ნახევარი წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1963 წლის I ნახევარი პროცენტობით 1962 წლთან შედარებით
ტვირთბრუნვა —			
მილიარდი ტონა — კილომეტრი რკინიგზის ტრანსპორტი	855	105	106
საერთო სარგებლობის სამდინარო ტრანსპორტი	39	92	100,2
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	16	102	108
ნავთობსადენი ტრანსპორტი	43	102	121
ტვირთზიდვა —			
მილიონი ტონა			
სარკინიგზო ტრანსპორტი	1047	99,7	103
საერთო სარგებლობის სამდინარო ტრანსპორტი	89	99,5	99
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	920	99	103
გადატუმბულია ნავთობსადენი ტრანსპორტით	89	101	112

საზღვაო ტრანსპორტმა ყველა სახეობის ნაოსნობაში ტვირთბრუნვა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაადიდა 21 პროცენტით და ტვირთზიდვა — 12 პროცენტით.

საჰაერო ტრანსპორტთ მგზავრთა გადაყვანა გაიზარდა 19 პროცენტით და ტვირთზიდვა — 8 პროცენტით.

რკინიგზების ტვირთბრუნვა, რომელიც შესრულებულია ელმავლის და თბომავლის წევით, გაიზარდა 22 პროცენტით და შეადგინა 70 პროცენტი რკინიგზების საერთო ტვირთბრუნვაში. რამდენადმე გაუმჯობესდა ელმავლებისა და თბომავლების გამოყენება. შესრულებულია სატვირთო მატარებლების მოძრაობის სიჩქარის გადიდების, მატარებლის წონის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირების გეგმა.

ამავე დროს არ შესრულებულა სატვირთო ვაგონის ბრუნვის დროის შემცირების, დატვირთვის ოპერაციებისათვის და ტექნიკურ სადგურებში ვაგონების მოცდენის შემცირების დავალებანი. მთელმა რიგმა რკინიგზებმა ვერ შეასრულეს ცალკეული ტვირთების გადაზიდვის გეგმები.

ნახევარი წლის განმავლობაში განხორციელდა დიდი მუშაობა რკინიგზის სადგურების, ნავსადგურებისა და ნავმისადგომების განსატვირთავად იქ დგარეგებული ტვირთებისაგან. მაგრამ ცალკეულ პუნქტებში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობით დარჩა ვაგონზე გაუხდავი ტვირთები.

IV.

კაპიტალური მშენებლობა

სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა თანხებით ამოქმედდა 7 პროცენტით მეტი ახალი ძირითადი ფონდები, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში, ამასთან კაპიტალდაბანდებათა მოცულობა გაიზარდა 4 პროცენტით და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 8 პროცენტით.

ქიმიურ მრეწველობაში ამუშავდა მინერალური სასუქების საწარმოო ახალი სიმძლავრენი უზბეკეთის, ბაშკირეთის ასსრ, ირკუტსკისა და ტულის ოლქების საწარმოებში; სინთეზური კაუჩუკის საწარმოო სიმძლავრენი — ბაშკირეთის ასს რესპუბლიკასა და კუიბიშევის ოლქში; ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოს წარმოებისა — ბალაკოვოს ხელოვნური ბოჭკოს კომბინატში, სარატოვის სინთეზური სპირტის ქარხანასა და ენგელსის ხელოვნური ბოჭკოს ქარხანაში. მწყობრში ჩადგა ნოვოტროიცკის ქრომის შენაერთთა ქარხანა და აქტიუბინსკის ქრომის შენაერთთა ქარხნის მეორე რიგი.

შავ მეტალურგიაში მწყობრში ჩადგა ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნის ფეტრცლის ცივი გლინვის საამქრო, საკოქსავი ბატარეა და აგლომანქანა; ორსკ-ხალილოვოს მეტალურგიულ კომბინატში — ბრძმედი და აგლომერაციული ფაბრიკის პირველი რიგი; ჩელიაბინსკის მილსაგლინავ და ნოვომოსკოვსკის მეტალურგიულ ქარხნებში ამუშავდა დიდი დიამეტრის ფოლადის მილების საწარმოო ახალი სიმძლავრენი.

ელექტროსადგურებში ამუშავებულია ორნახევარ მილიონზე მეტი კილოვატი სიმძლავრენი; მწყობრში ჩადგა ზაინსკისა და ვაიგინსკის თბოელექტროსადგურები. ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურში ამუშავდა ორი ტურბინი; ამის შედეგად ბრატსკის სადგურის დადგმული აგრეგატების სიმძლავრემ მიაღწია 2,7 მილიონ კილოვატს და გადააჭარბა მსოფლიოში ყველაზე დიდი ვოლგის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეს.

ნავთობგადასამუშავებელ მრეწველობაში მწყობრში ჩადგა პოლოცკის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა.

საშენი მასალების მრეწველობაში მწყობრში ჩადგა ბალაკლეის ცემენტის ქარხანა, ამუშავდა ახალი ტექნოლოგიური ხაზები ქარხანა „სპარტაკუსი“ და ნოვო-პაშინსკის ცემენტის ქარხანაში; მწყობრში ჩადგა ასაწყობი რკინაბეტონისა და დიდპანელიანი სახლთმშენებლობის ახალი ქარხნები.

საფეიქრო საწარმოებში დადგმულია 237 ათასი სართავი თითისტარი და 1.772 საფეიქრო დაზგა. მწყობრში ჩადგა ახალი სარძეო, ერბო-კარაქის და საკონსერვო ქარხნები, პურის ქარხნები, მაცივრები და კვების მრეწველობის სხვა საწარმოები.

მაგრამ ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების გეგმები მნიშვნელოვანი დაგვიანებით სრულდება.

გასულ ნახევარ წელიწადში გრძელდებოდა მუშაობა არსებული სახსრების კონცენტრაციისათვის უმნიშვნელოვანეს მშენებლობებსა და ასამუშავებელ ობიექტებზე. ამავე დროს ჯერ კიდევ ვხედებით სახსრების დაქაქცევას ბევრ ობიექტზე, რაც იწვევს დაუთმავრებელი მშენებლობის შემდგომ ზრდას და ასამუშავებელ მშენებლობათა გეგმის შეუსრულებლობას.

კაპიტალდაბანდებათა მოცულობა სახელმწიფო გეგმით გამოყოფილი თანხებიდან, წლის პირველ ნახევარში შეადგენს 14,1 მილიარდ მანეთს, კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობა გაიზარდა 4 პროცენტით, ხოლო კაპიტალდაბანდებანი ქიმიურ მრეწველობაში გაიზარდა 15 პროცენტით, ნავთობისა და გაზის მრეწველობაში — 7 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 12 პროცენტით.

საინჟინრო ორგანიზაციებმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შეასრულეს 96 პროცენტით და სამუშაოთა მოცულობა გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გაადიდეს 4 პროცენტით.

მშენებლობაში ფართოდ იყენებენ ინდუსტრიულ მეთოდებს, გადიდდა შენობათა და ნაგებობათა აწყობის დონე, იზრდება შრომის აღჭურვა მექანიზმებით და ელექტროაღჭურვილობა, გაიზარდა სამშენებლო მანქანების პარკი.

ამასთან ერთად მშენებლობის ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. მთელ რიგ რაიონებში სუსტად ვითარდება საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები, რის შედეგადაც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დიდი მოცულობა სამეურნეო წესით სრულდება. მშენებლობებზე არსებულ მანქანებსა და მექანიზმებს სრული სიმძლავრით არ იყენებენ, რის გამო ზოგიერთი შრომატევადი სამუშაო ხელით სრულდება.

შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 3 პროცენტით. ბევრმა სამშენებლო ორგანიზაციამ ვერ შეასრულა შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების დავალებანი.

V.

ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლება

მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი წლის პირველ ნახევარში უდრიდა 69 მილიონს და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 2 მილიონი კაცით გადიდდა. საწარმოო დარგებში მუშების, აგრეთვე ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტების რაოდენობა ამ პერიოდში გადიდდა 1 მილიონი კაცით და უფრო მეტად. სკოლების, სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებების მუშაკების რაოდენობა გადიდდა 650 ათასი კაცით, ვაჭრობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკების რაოდენობა — 320 ათასი კაცით.

გასულ ნახევარ წელიწადში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლები და სკოლები დაამთავრა და მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ გაგზავნა 250 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა. ინდივიდუალურ-ბრიგადული სწავლებისა და საკუთრო სწავლების გზით საწარმოებსა და ორგანიზაციებში ახალი პროფესიები შეისწავლა და კვალიფიკაცია ამაღლა დაახლოებით 5,5 მილიონმა მუშამ და მოსამსახურემ.

მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიიღო (უფასო სწავლება და სამედიცინო მომსახურება, ავადმყოფობის, ორსულობისა და მრავალშვილიან დედობის დროს ანაზღაურება, პენსიები, დახმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს და სხვა გასაცემი და შეღავათი) 15 მილიარდი მანეთი, ანუ თითქმის 1 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში.

მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში ნახევარი წლის მანძილზე გაიზარდა 6 პროცენტით და უფრო მეტად და 1 ივლისისათვის შეადგინა 13,6 მილიარდი მანეთი.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობამ ნახევარი წლის მანძილზე შეადგინა 43 მილიარდი მანეთი და გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა, შესადარ ფასებში, 4 პროცენტით. საცალო საქონელბრუნვა სამომხმარებლო კოოპერაციისა, რომელიც სოფლად ვაჭრობას ახორციელებს, გადიდდა 5 პროცენტით. მთლიანად ვაჭრობის გეგმა ვერ შესრულდა 389 მილიონი მანეთით, გადაჭარბებით შესრულდა გეგმა საზოგადოებრივი კვების ხაზით.

სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ცალკეული საქონლის გაყიდვა შეიცვალა შემდეგნაირად:

	გაიყიდა 1962 წლის I ნახევარში	1963 წლის I ნახევარში	პროცენტებით 1962 წლის I ნახევართან შედარებით
ხორცი, ძეხვეული და სხვა ხორცპროდუქტები		113	
თევზი, ქაშაყი და სხვა თევზპროდუქტები		104	
რძე და რძის პროდუქტები		102	
ყველი		112	
ერბო-კარაქი		91	
მცენარეული ზეთი		103	
კვერცხი		104	
შაქარი		107	
საკონდიტრო ნაწარმი		105	
ჩაი		109	
ბოსტნეული		101	
ხილი		107	
ბამბის ქსოვილები		96	
შალის ქსოვილები		93	
აბრეშუმის ქსოვილები		108	
ტანსაცმელი და საცვლები		103	
ტრიკოტაჟის ნაწარმი		108	
წინდის ნაწარმი		106	
ტყავის ფეხსაცმელი		103	
ფაიფურ-ქაშანურისა და მინის ჭურჭელი		106	
საპონი		104	
აგეკი		116	
საკერავი მანქანები		104	
მაცივრები		110	
სარეცხი მანქანები		127	
მტვერსასრუტები		108	
საათები		98	
მოტოციკლები და მოტორროლერები		105	
ველოსიპედები და მოტოველოსიპედები		102	
რადიომიმღებები და რადიოლები		105	
ტელევიზორები		106	
მსუბუქი ავტომობილები		113	

მოსახლეობისათვის საქონლის მოყიდვის რაოდენობის გადიდებასთან ერთად იზრდება აგრეთვე მისი მარაგი ვაჭრობაში. ამასთან მნიშვნელოვანი ნაწილი ზენორმატიული მარაგისა, რამაც თითქმის 3 მილიარდ მანეთს მიაღწია, მოდის შალის ქსოვილებზე, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე. საქონლის ზედმეტი მარაგი მოწმობს, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოები, სამრეწველო საწარმოები და სავაჭრო ორგანიზაციები სუსტად სწავლობენ მოსახლეობის მოთხოვნილებას, აგრეთვე იმას, რომ ჯერჯერობით ყურადღება არ ეძლევა სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებასა და ასორტიმენტის გაფართოებას.

საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ ნახევარი წლის განმავლობაში შეადგინა 5,7 მილიარდი მანეთი და 1962 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 2 პროცენტით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა იდეოლოგიურ საკითხებზე შეაჯამა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დარგში გაწეული მუშაობის შედეგები და ძირითადი მიმართულებანი და დასახა კონკრეტული ამოცანები სახალხო განათლების, კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის.

61 მილიონზე მეტი კაცი ჩაბმულია სხვადასხვა სახეობის სწავლაში, მათ შორის 49,5 მილიონი კაცი სწავლობდა ზოგადსაგანმან

ამხანაგ იანოშ კადარის სიტყვა

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის მიტინგზე 1963 წლის 19 ივლისს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო ამხანაგო ხრუშჩოვ!

ძვირფასო ამხანაგებო, ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო!

ჩვენი დელეგაცია ეწვია საბჭოთა კავშირს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მეგობრული მოწვევით. ჩვენი ვიზიტის მიზანია ერთმანეთს გავუზიაროთ აზრები ურთიერთ საინტერესო საკითხებზე, პირადად და კიდევ უფრო ახლოს გავეცნოთ კოშუნიზმის მშენებელი დიდი საბჭოთა ხალხის უკანასკნელ მოღვაწეობის წარმატებებს. ხოლო ჩვენი უმნიშვნელოვანესი მიზანია კიდევ უფრო განვამტკიცოთ და გავაღრმავოთ ჩვენი ინტერნაციონალური ურთიერთობა, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის უოლეეი მეგობრობა.

ჩვენი ხალხის ჭეშმარიტმა მეგობარმა ნიკიტა სერგეი-ძე ხრუშჩოვმა თავის დღეკანდელ სიტყვაში უადგილად დიდი შეფასება მისცა ჩვენი პარტიისა და უნგრელი ხალხის ისტორიულ ბრძოლას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. საბჭოთა კავშირში მთელი ჩვენი მოგზაურობის დროს — აქ, მოსკოვში, ტაშკენტში, ირკუტსკის, ბრატსკისა და კრასნოიარსკის მუშებთან, კოლმეურნეებთან, ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელებთან და სახელმწიფო მოღვაწეებთან, უბრალო მშრომელებთან ყველა შეხვედრის დროს ყველგან ვიგრძენით ასეთივე დიდი პატივისცემა, ღრმა . და ხამდვილად მეგობრული გრძნობები უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისადმი.

ჩვენი დელეგაციისა და პირადად ჩემი სახელით მთელი გულით ვუძღვნი გულწრფელ მადლობას ამისათვის თვითეულ საბჭოთა ადამიანს. გადმოგცემთ თქვენ, ხოლო თქვენი სახით — მთელ საბჭოთა ხალხს სოციალიზმის მშენებელი უნგრელი ხალხის მხურვალე, ძმურ სალამს და კეთილ სურვილებს.

ჩვენი პარტია და ხალხი ამაყობენ საბჭოთა ამხანაგებთან, საბჭოთა ხალხთან მეგობრობით. ლენინის მიერ დაარსებულმა საბჭოთა კავშირის დიდმა კომუნისტურმა პარტიამ გამარჯვებით დაგვირგვინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, შექმნა მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფო. საბჭოთა კავშირის შექმნამ ახალი ფურცელი გადაშალა კაცობრიობის ისტორიაში, საბჭოთა კავშირი მუდამ იყო და ახლაც არის თავისუფლებისათვის, სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი ყველა ხალხის საუკეთესო მეგობარი და იმედი. ამიტომ თვითეულ უნგრელ კოშუნისტს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად, უნგრელი ხალხის ეროვნული ინტერესებისათვის უერთგულესი სამსახურის სქმედ და ნამდვილი პატრიოტიზმის გამოვლინებად მიაჩნია უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის თუდნი ვ ბოლოდ ამ ბრძოლა.

ძვირფასო ამხანაგებო! მეგობრებო!

დიდი საბჭოთა ქვეყნის თვალუწვდენ მიწაწყალზე ჩვენი ძოგზაურობის დროს ჩვენ ვიხილეთ ქარხნები, ჰიდროელექტროსადგურები, კოლმეურნეობები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები. ჩვენ ვხედავდით, როგორ შრომობენ საბჭოთა ადამიანები, როძლებიც შვიდწლიან გეგმას ვადამდე ასრულებენ. ჩვენ საკუთარი თვალით ვიხილეთ, როგორ ხორციელდება XXII ყრილობის მიერ მიღებული კოშუნიზმის მშენებლობის პროგრამა, გმირული შრომის შედეგად როგორ იქმნება რეალურ სინამდვილედ პროგრამის ძლევამოსილი იდეები.

ჩვენ ვნახეთ კაპიტალიზმზე სოციალიზმის მშვიდობიანი გამარჯვების ხელული ნიშნები. საბჭოთა კავშირი ახლა უკვე ეწევა ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. უფრო ძეტიც, საბჭოთა კავშირმა უკვე გაუსწრო მათ ისეთ დარგებში, რომელშაც უპირველესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ეპოქისათვის. საბჭოთა კავშირმა დაამტკიცა თავისი უპირატესობა ავტომატიკის, ატომური ფიზიკის, რაკეტული ტექნიკის დარგში და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ინარჩუნებს პირველობას კოსმოსის ათვისების დარგში. ნება მიბოძეთ ამ ტრიბუნიდან ერთხელ კიდევ მივულოცო საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მთავრობას, მეცნიერებსა და ინჟინრებს უმბაგალითო შესანიშნავი წარმატება: კოსმონავტი — 5-ის ვალერი ბიკოვსკის გაფრება და ვალენტინა ტერეშკოვას გაფრენა, რომელიც კოსმონავტთა შორის თუმცა მეექვსეა, მაგრამ ძაინც პირველია — ქსოფლიოში პირველი ქალია, რომელიც კოსმოსში შეიჭრა.

ჩვენ ვიხილეთ და ვიგრძენით, რომ საბჭოთა შრომელები ერთიანობით ერთიანობით არიან შეკავშირებულნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვი ხელმძღვანელობს. პარტია და ხალხი სრული ერთიანობით შრომობენ კოშუნიზმის აშენებისათვის, ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევენ შრომისა და შვიდობის ფრონტზე.

ჩვენ კვლავ დავრწმუნდით, თუ რაოდენ ღრმად აქვს შეგნებული საბჭოთა ხალხს ისტორიის მიერ მის წინაშე დასახული უდიდესი ამოცანა: მსოფლიოში პირველმა ააშენოს კომუნისტური საზოგადოება და დაამარცხოს კაპიტალისტური ქვეყნები შვიდობიან შეჯიბრებაში. შეგიძლიათ იამაყოთ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ სწორედ თქვენ გხვდათ წილად ეს ისტორიული მისია.

ღრმა პატივცემულ ხრუშჩოვს მოახდინა ჩვენზე შეხვედრებმა პარტიის მიერ აღზრდილ, კომუნიზმის მშენებელ, ახალი მორალის მატარებელ საბჭოთა ადამიანთან, რომელიც მზად არის გაიღოს ყოველი მსხვერპლი თავისი ხალხისათვის და კაცობრიობისათვის, გამსჭვალულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ღრმა გრძნობით.

იმ დღეებში, როცა ჩვენ ვმოგზაურობდით თქვენს ქვეყანაში, „პრავდამ" გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღია წერილი. ყველანან ჩვენ ერწმუნდებოდით, რომ საბჭოთა ადამიანები, რომლებსაც ათეული წლების მანძილზე პარტია ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ზრდის, და რომლებიც ზზად არიან ყოველი მსხვერპლი გაიღოს რევოლუციის, სოციალიზმისა და მშვიდობისათვის, სავსებით იწონებენ თავისი ცენტრალური კომიტეტის ხასს და გმობენ უსაფუძვლო, უპრინციპო და დოგმატურ თავდასხმებს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაზე და მსოფლიოს სხვა კომუნისტურ და მუშათა პარტიებზე.

პატივცემულო ამხანაგებო!

ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი ერთგულად ერთგულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სოციალისტური ქვეყნების ძმური თანამეგობრობისა. ეს შეესაბამება ჩვენი ხალხის საკუთარ ინტერესებს, მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინტერესებს, ემსახურება მშვიდობისა და პროგრესის საქმეს. ჩვენ ვიცით, რომ ვერაფერ ვერ წაგვარომეგს სოციალისტურ მონაბაურებს, ვინაიდან თვალსაჩინოვით ვეფრთხილდებით და ვიცავთ ჩვენი სახალხო ხელისუფლების სიმტკიცეს და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საქმის ერთგულნი ვართ.

ურჯეეეე კავშირი გვაერთებს ჩვენ ზსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოსთან — საბჭოთა კავშირთან, რომელიც კომუნიზმს აშენებს, და მის წმაყვან ძალასთან, შემოქმედებითი ლენინიზმის მედროშესთან. — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან. ჩვენ გვაერთიანებს საერთო იდეები — მარქსიზმ-ლენინიზმი, საერთო ისტორიული მიზნები. ჩვენი მეგობრობა იშვა და გამოიწრთო საერთო საქმისათვის რევოლუციურ ბრძოლებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების დროს კვლავ დადასტურდა ის ფაქტი, რომ ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ერთმანეთს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის, მსოფლიო მუშათა მოძრაობისა და საერთაშორისო მდგომარეობის შეფასების ყველა საკითხში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დროიდან განვლილმა ათწლეულებმა მრავალჯერ დაამტკიცეს, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სასიხარ ქვაა საბჭოთა კავშირისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი დამოკიდებულება. გასული ორმოცდაუთი წლის ისტორიამ ცხადყო, რომ შეუძლებელია იყო ინტერნაციონალისტი, კომუნისტი, ხალხთა თავისუფლების მომხრე და ამავე დროს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ილაშქრებდე.

უნგრელი ხალხისათვის საბჭოთა კავშირთან ძმურ მეგობრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ყოველივე იმის გარდა, რითაც ძვირფასია საბჭოთა კავშირი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისათვის, თვითეული ჩაგრულისა და ექსპლოატირებულისათვის, თვითეული ჰეშმარიტი რევოლუციონერისათვის, საბჭოთა კავშირი ჩვენთვის ის ქვეყანაა, რომლის შვილები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და კომუნიზმის სულისკვეთებით აღზრდილნი, სისხლს ღვრიდნენ, სიცოცხლეს არ იშურებდნენ და ფაშისტური ტერორისაგან ხსნა, ეროვნული დამოუკიდებლობა და სოციალური განთავისუფლების შესაძლებლობა მოგვიტანეს.

საბჭოთა კავშირის შვილებმა დახმარება აღმოუჩინეს ჩვენს ხალხს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირი ყოველთვის — ჭირშიც და ლხინშიც — გვერდში გვედგა, გვეხმარებოდა თავისი გამოცდილებითა და მაგალითით, — უახგაროდ გვიმართავდა და გვიმართავს ხელს სოციალისტურ მშენებლობაში. ჩვენთან ურთიერთობაში დიდი საბჭოთა კავშირი გვიჩვენებს აგრეთვე იმის მაგალითს, რომ იგი ხელმძღვანელობს არა საკუთარი ინტერესებით, არამედ ზრუნავს საერთო ინტერესებისათვის, საყოველთაო სოციალური პროგრესისათვის.

ჩვენი ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობა სულ უფრო ფართოვდება და მტკიცდება. შემოტანილი ხედლეულის ორმოც პროცენტს, მათ ძოროის ჩვენთვის საჭირო რკინის მადნის, თუჯის, სპბრმდედ კოქსის, ნავთობის, სინთეტური კაუჩუკის, ბამბის უდიდეს ნაწილს საბჭოთა კავშირიდან ვიღებთ.

საბჭოთა კავშირი დიდი რაოდენობით გვაწვდის. შენადნობებს, ნაგლინს, ქიმიკატებს, ხელოვნურ სასუქებს და სხვა სამრეწველო საქონელს.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა საბჭოთა კავშირს აწვდის, კერძოდ, მანქანათმშენებლობის პროდუქციას, კავშირგამბმულობის ტექნიკას, მედიკამენტებს, კოსფეკციურ ნაწარმს და სხვადასხვა სასურსათო საქონელს. განსაკუთრებულ სარგებლიანობას უზრუნველყოფენ ჩვენი ქვეყნისათვის ახლახან აშენებული ნავთსადენი „მეგობრობა", ერთიანი ენერგოსისტემა „მშვიდობა" და ჩვენს შორის დადებული შეთანხმება ალუმინის მრეწველობის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის პოზიციები სოციალისტურ ქვეყნებს შორის მრავალმხრივი ეკონომიური თანამშრომლობის დიდი მნიშვნელობის საკითხში სავსებით ემთხვევა ერთმანეთს. ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ ჩვენი საერთო ინტერესების შესაბამისად, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში, ერთობლივად და გეგმაზომიერად გამოვიყენოთ საკუთარი რესურსები, მივაღწიოთ შრომის რაციონალურ განაწილებას, რაც დაჩქარებს თვითეული ჩვენი ქვეყნის განვითარებას.

ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობა ცხოვრების ყველა დარგში სულ უფრო ფართოვდება და იზრდება. უნგრული ხელოვნების მოღვაწენი უფრო ხშირად აწყობენ გასტროლებს საბჭოთა კავშირში. უფრეელი მაყურებლებიც აგრეთვე სულ უფრო ხშირად ხედავენ ჩვენს სცენაზე, უსმენენ საკონცერტო დარბაზებში საბჭოთა კულტურის გამოჩენილ წარმომადგენლებს. წლითიწლობით ფართოვდება ჩვენი მეცნიერების, სპეციალისტების, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ხელმძღვანელების კონტაქტები.

მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია სრული ურთიერთგაგება ყველა პრინციპულ საკითხში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ორივე პარტიის ცენტრალური კომიტეტების ერთსულოვნება.

მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინტერესების თვალსაზრისით ჩვენ გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმ მოღვაწეობას, რასაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ამხანაგ ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით, შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომი განვითარების დარგში ახორციელებს. ჩვენ საკუთარი გამოცდილებით ვიცით, თუ რა შედეგი მოაქვს ცხოვრებას მოწყვეტილ სექტანტობას და დოგმატიზმს, პირველნების კულტს და რევიზიონიზმის დაუბრკოლებელ გავრცელებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ფასდაუდებელი დახმარება გაუწია ჩვენს პარტიას განთავისუფლებულიყო სექტანტობისაგ ან, დოგმატიზმისა და რევიზიონიზმისაგან, დაბრუნებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის მთავარ გზას.

ჩვენი განვითარების გამოცდილება აგრეთვე ადასტურებს XX ყრილობის დასკვნების სისწორეს, ამასვე ადასტურებს მთელი საერთაშორისო რევოლუციური მუშათა მოძრაობის განვითარება. სწორედ ამიტომ ჩვენ სავსებით ვიზიარებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოზიციას როგორც საერთაშორისო რევოლუციური მუშათა მოძრაობის ინტერესებს, ისე სოციალისტური მშენებლობისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებში, რადგან ეს პოზიცია სავსებით შეესაბამება მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირების დოკუმენტებს.

ასევე სავსებით ვეთანხმებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 14 ივლისის ღია წერილს. ამ წერილში გაშუქებულია ახლანდელი პირობებში ერთადერთი შესაძლებელი ბრძოლისტული თვალსაზრისი თანამედროვეობის მთავარ საკითხებზე და უცილობლად დამტკიცებულია, რომ ჩინეთის ხელმძღვანელი ამხანაგები მეტწილ ამ საკითხებში— იცავენ მცდარ და საშიშ შეხედულებებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

მსოფლიო უკვე შეეფდა კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის ეპოქაში, ეს არის იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის მზის ჩასვენების ეპოქა, პროლეტარული რევოლუციებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამარჯვების ეპოქა, კოლონიური სისტემის დაშლის ეპოქა. სოციალიზმს არ ესაჭიროება ომი იმისათვის, რომ გამარჯვება მოიპოვოს. მსოფლიო ომი არ შეესაბამება არც სოციალიზმის პირობებში მცხოვრები ხალხებისა და არც სხვა ხალხების ინტერესებს. საჭიროა მთელი ძალებით შევუშალოთ ხელი იმპერიალიზმს მსოფლიო ომის გაჩაღებაში. ომს ყოველთვის მოსდევს მილიონობით ადამიანის დაღუპვა, ადამიანის მიერ შექმნილ უამრავ ფასეულობათა მოსპობა, ხალხების ტანჯვა, და ეს განსაკუთრებით ცხადია ახლანდელი ატომური იარაღის ეპოქაში.

საჭიროა ვიბრძოლოთ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკის გამარჯვებისათვის მთელ მსოფლიოში. ეს პოლიტიკა როდი ნიშნავს კაპიტალისტთა და მუშათა, კოლონიზატორთა და დამონებულთა, მჩაგვრელთა და ჩაგრულთა მშვიდობიან თანაარსებობას, როდი ნიშნავს ჩაგრასთან შერიგებას. პირიქით, ეს პოლიტიკა უაღრესად ხელშემწყობ შესაძლებლობებს უქმნის წარმატებითი მშენებლობის განხორციელებს სოციალისტურ ქვეყნებში, სოციალიზმის უპირატესობათა უსწრაფეს გამოვლინებას და ამით სოციალიზმის გამარჯვებას მშვიდობიანი გზით; კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს ბრძოლას მონოპოლისტური კაპიტალის წინააღმდეგ, აგრეთვე ბრძოლას, რასაც ეწევიან თავიანთი ეროვნული განთავისუფლებისათვის ხალხები, რომლებიც ჯერ კიდევ კოლონიურ ჩაგრას განიცდიან.

ვერც ერთმანეთისაგან გავთიშავთ, ვერც ერთმანეთს დავუპირისპირებთ მშვიდობისათვის ბრძოლას, დემოკრატიისათვის ბრძოლას, სოციალიზმისათვის ბრძოლას და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ხალხთა ფრონტი მტკიცეა მაშინ, როცა ბრძოლის ყველა ეს მამართულება ერთიანან ნაკადად შეერთდება.

რევოლუციის ექსპორტის ლოზუნგი პრინციპულად ეწინააღმდეგება მარქსიზმ-ლენინიზმის ძალთა ამიტომ მისი პრაქტიკული გამოყენება უნდა დაიგმოს. ხალხებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ, თუ რომელ საზოგადოებრივ წყობილებაში სურთ იცხოვრონ. რევოლუციები დამოკიდებული როდია ვითარებას, ადგილსა და დროს მოწყვეტილ ლოზუნგებზე. რევოლუციები დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მომწიფებულია საერო წანამძღვრები, უდროოდ წამოყენებული ლოზუნგი კი არ ეერთიანებს პარტიას ხალხთან, არამედ თიშავს მათ.

თითქმის ორი უკანასკნელი ათწლეულის გამოცდილება მოწმობს, აგრეთვე იმაზ, რომ კოლონიური სისტემა დაიშალა ■მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნისა და ძალთა თანაფარდობის შეცვლის ზემოქმედებით. კოლონიურ სახელმწიფოებს ძალა არ შესწევთ კვლავაც ჩაგრონ დამონებული ხალხები. ჩაგრულმა ხალხებმა კი შესაძლებლობა მოიპოვეს დაეყრდნონ სოციალისტურ სამყაროს.

მშვიდობისათვის ჩვენი ბრძოლის შედეგად ასეულმილიონობით ადამიანს მთელ მსოფლიოში უკვე ესმის, რომ სოციალიზმი და მშვიდობა ერთიანი ცნებაა, რომ სოციალისტური ქვეყნები, კომუნისტები ყველაზე თანმიმდევრულად და მტკიცედ იბრძვიან მშვიდობის გამარჯვებისათვის. მშვიდობა ხალხების დიადი მისწრაფებაა. მშვიდობისათვის ჩვენმა ბრძოლამ აღზარდა მილიონობით ახალი კომუნისტი და სოციალისტურ ქვეყნებსა და კომუნისტებს მოუპოვა მრავალმილიონიანი მასების სიმპათიები, ჩვენ არ დავნებებით იმპერიალისტებს მოატყუონ ხალხები ყალბი ლაყბობით მშვიდობის შესახებ.

ახლა ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ ერთიანი ცნებები იყოს არა მარტო სოციალიზმი და მშვიდობა, არამედ სოციალიზმი და კეთილდღეობაც. ამისათვის საჭიროა, რომ თვითეულმა სოციალისტურმა ქვეყანამ განავითაროს თავისი ეკონომიკა, მაგრამ ასევე, უთუოდ საჭიროა სოციალისტურ ქვეყნებს შორის ეკონომიური თანამშრომლობაც. ჩვენ ხომ საკუთარი გამოცდილებით ვიცით, რას ნიშნავს ეკონომიური თანამშრომლობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ინტერნაციონალიზმის პრინციპები. რა იქნებოდა, რომ საბჭოთა კავშირს უნგრეთის განთავისუფლების შემდეგ ან სოციალისტურ ქვეყნებს 1956 წლის კონტრრევოლუციის შემდეგ ბედის ანაბარა მივეტოვებინეთ? ეკონომიური თანამშრომლობა ერთი-ორი წლით და თუნდაც ერთი-ორი ათწლეულისთვის როდი მყარდება. სოციალიზმი მთელი კაცობრიობის ხაერთო მომავალია. და ეკონომიკის დარგში ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ისე, რომ შესაძლებლობისდაგვარად უკეთ ვემსახუროთ ხალხთა ახლანდელ და მომავალ ინტერესებს.

ჩვენი ბრძოლის წარმატების საწინდარი ის არის, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნებმა, ყველა კომუნისტურმა და მუშათა პარტიამ გაიერთიანეთ თავიანთი ძალები იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალური პროგრესისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმი არა ჰყოფს ადამიანებს თეთრკანიანებად და შავკანიანებად, ევროპელებად, აზიელებად, აფრიკელებად და ლათინურ ამერიკელებად, იგი განასხვავებს მხოლოდ კლასებს, განასხვავებს მჩაგვრელებსა და ჩაგრულებს. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ყველა ჩაგრულისა და ექსპლოატირებულის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. ამიტომ მათ უნდა შეაკავშირონ თავიანთი რიგები.

კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის დეკლარაციამ და განცხადებამ სწორად განსაზღვრა თათბირებზე წარმოდგენილი პარტიების პოზიციები თანამედროვეობის ძირითად საკითხებში. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ეს დოკუმენტები სწორია, მათი დებულებანი დაადასტურა თვით ცხოვრებამ, მაშასადამე, არ არის მათი გადასინჯვის საჭიროება. ამ დოკუმენტების სისწორე დაადასტურა სოციალისტური ქვეყნების განვითარების მთელმა მსვლელობამ, იმ ფაქტმა, რომ მთელ მსოფლიოში მტკიცდება კომუნისტური პარტიები, იზრდება პროგრესის ძალები, ხოლო მოძრაობა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ახალ წარმატებებს აღწევს.

კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის 1960 წლის განცხადებაში სრული უფლებით იყო ნათქვამი: „გაჩნდნ რეალური შესაძლებლობანი, რათა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები გადაწყდეს ახლებურად, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის".

ჩინელი ამხანაგების იდეები დაარღვიეთ ერთიანობა ხელს უშლის მთელ მსოფლიოში გაშლილ ბრძოლას სოციალური პროგრესისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის, საერთოხელ უქმნის ნ შიდიგებს, რომლებსაც გასულ წლებში მიაღწიეს მსოფლიო მუშათა მოძრაობამ და თავიანთი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა ხალხებმა.

მხოლოდ კომუნისტური და მუშათა პარტიების მტკიცე ერთიანობას შეუძლია უზრუნველყოს ამ პარტიების წამყვანი როლი მშვიდობისათვის ბრძოლაში, კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოებულ კლასობრივ ბრძოლაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მაგრამ ამ ერთიანობის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი დამნინავებისაგან. არ შეიძლება იყოს სხვა პრინციპული ერთიანობა, გარდა იმისა, რომლის საფუძველს შეადგენს XX ყრილობის გადაწყვეტილებანი და მოსკოვის თათბირების დოკუმენტთა დებულებანი, რომლებიც ნამდვილი სახელმძღვანელოა მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის. ასე აზროვნებს თვითეული კომუნისტი, რომელსაც სერიოზულად აქვს შეგნებული პასუხისმგებლობა თავისი ხალხისა და კაცობრიობის ბედისათვის.

როგორც აქამდე, ჩვენ კვლავაც გავაკეთებთ ყველაფერს, რათა შევინარჩუნოთ სამეფოთა შორისო მოშათა მოძრაობის ერთიანობა. მაგრამ ჩვენ არ■ ვეთანხმებით იმას, რომ დათმობაზე წავიდეთ პრინციპულ დებულებებში, რომელთა სისწორე დადასტურებულია პრაქტიკით და რომლებიც იმ უმნიშვნელოვანეს საკითხებში, კაცობრიობის ბედს რომ ეხება. გამოხატავენ ერთადერთ სწორ მარქსისტულ თვალსაზრისს.

ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით საბჭოთა კავშირის მთავრობას ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის შეფასებაში და მხარს ვუჭერთ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ თვის საგარეო პოლიტიკაში კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა კავშირის მთავრობა ემყარება რეალურად არსებულ საერთაშორისო მდგომარეობას, მის მიკნიერულ ანალიზს, ძალთა შექმნილ თანაფარდობას.

ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ბრძოლას საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, ვინაიდან იგი ეხება რეალურ მიზნებს მასების წინაშე, რომლებსაც სწყურიათ მშვიდობა.

ყოველგვარი ბრძოლა, რომელისთვისაც მშვიდობის მიღწევა წარმოადგენს მხოლოდ მიზანს საერთოდ, მაგრამ არ სახავს ომის თავიდან აცილების, მშვიდობის დაცვის კონკრეტულ ამოცანებს, იქნება ფუქი და ■ეშინაარსო. ასეთი კონკრეტული ამოცანაა საყოველთაო და სრული განიარაღების მომოგება.

ვერაფერით ვერ ავხსნიდით სოციალისტური ქვეყნების მიერ საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის ბრძოლის შეწყვეტას და ამ ლოზუნგის დათმობას მეთთვის, ვინც ესწრაფვის არა მშვიდობასა და განიარაღებას, არამედ ომსა და შეიარაღებას. თუ მსოფლიოს ხალხებმა იციან, რომ იმპერიალისტები აწარმოებენ გამალებულ შეიარაღებას და იცან, რას უქადის იგი მათ, მაშინ ეს რაზომავს ხალხებს და ხელს უწყობს განიარაღებას. ეს საშიალებას გვაძლევს ვამხილოთ ბატონობს უნგრეთის სახალხო მეურნეობაში. ამის საფუძველზე ჩვენი პარტიის VIII ყრილობამ, რომელიც გაიმართა 1962 წლის ნოემბერში, აღნიშნა, რომ ჩვენ დავამყარეთ სოციალიზმის საფუძვლია მშენებლობა და შევედით სოციალისტური საზოგადოების სრულ მშენებლობის ეპოქაში.

გასულ წლებში წარმატებით შეგასრულეთ 1958-1960 წლების სამწლიანი გეგმა და ამჟამად მესამე წელია ვასრულებთ მეორე ხუთწლიან გეგმას.

ფართო ნაბიჯით მიდის წინ ჩვენი კულტურული რევოლუციაც.

გასულ წლებში ამაღლდა ჩვენი ხალხის ცხოვრების დონე. ბიბარდა მუშათა და მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი, აგრეთვე კოოპერაციული გლეხობის რეალური მოხმარება. სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნინ და გლეხობის სოციალური უზრუნველყოფის საკითხის გადაჭრით უნგრეთის მთელ მოსახლეობაზე პრაქტიკულად ვრცელდება სოციალური დაზღვევის სისტემა, ესე იგი მოსახლეობა სარგებლობს უფასო სამედიცინო მომსახურეობით, მიიღო პენსიის უფლება.

ძვირფასო ამხანაგებო!

სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის დამთავრებასთან ერთად არსებითად შეიცვალა ჩვენი საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა. ჩვენი მუშათა კლასი მუშაობს სოციალისტურ მრეწველობაში. ქალაქის ყოფილი წვრილი ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი ნაწილი გაერთიანებულია სარეწაო კოოპერაციაში ან მუშაობს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. უნგრეთის სოფელში მოისპო ძველი კლასობრივი დაყოფა ფენებად, აღარ არიან ღარიბები, საშუალო გლეხები და კულაკები. ჩვენი ინტელიგენცია, ჩვენი ინჟინრები, პედაგოგები, ექიმები, მკვლევარები და მეცნიერები მუშაობენ (სოციალისტური მრეწველობის, სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და სოციალისტური სახელმწიფოს) სხვადასხვა სამეცნიერო, კულტურულ და სასწავლო დაწესებულებებში.

რამდენადაც უნგრეთში უკვე შეიქმნა სოციალიზმის საფუძვლები, აღარ არიან ექსპლოატატორთა კლასები და ექსპლოატირებული კლასები, ჩვენი საზოგადოება მორს წავიდა წინ იმ გზით, რომ მუშათა კლასი, გლეხობა და ინტელიგენცია ერთ სოციალისტურ საზოგადოებად გაერთიანდნენ.

ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებას ხელმძღვანელობს მუშათა კლასის რევოლუციური ავანგარდი — მისი პარტია. სამამულო სახალხო ფრონტის მოძრაობაში ვლინდება მუშების, გლეხების, ყველა მშრომელი კლასის კავშირი. ყალიბდება ჩვენი ხალხის სოციალისტური ეროვნული ერთიანობა.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ახლა პროლეტარიატის დიქტატურაა, მაგრამ ჩვენი სახელმწიფო ვითარდება და უკვე წავიდა წინ საერთო-სახალხო სახელმწიფოს შექმნის გზით. ჩვენს ქვეყანაში კაცი წარმოშობის ან იმის მიხედვით როდი ფასდება, თუ რომელ კლასს ეკუთვნოდა წინათ, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად ერთგულია ხალხისა, სოციალისტური მშენებლობის საქმისა, რამდენად ეხმარის ამ საქმეს თავის ცოდნასა და ენერგიას.

ამხანაგებო!

ჩვენი პარტიის VIII ყრილობამ გამოაცხადა, რომ იდეოლოგიის დარგში ჩვენ იდეური შეტევა უნდა დავიწყოთ მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გავრცელებაში ჩვენ უკვე მნიშვნელოვანი წარმატებები გვაქვს. ახლა კი, სოციალიზმის საფუძვლების შექმნის შემდეგ, ჩვენში, როგორც არასოდეს წინთ, არის იმის ხელსაყრელი პირობები, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი მთლიანად დამკვიდრდეს ჩვენი ხალხის აზროვნებაში, გამატარებელი ■ ■ ■

ამბები • ცნობები • ფაქტები

ჩვენი მკითხველები და კორესპონდენტები გვატყობინებენ

საერთაშორისო დღეკვირის ცნობები ეთვალსაჩინოა

უმნიშვნელოვანესი ნაგიჯი

ლონდონი, 20 ივლისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტომ სასწრაფოდ გადასცა ცნობები საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის მიტინგზე ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის შესახებ, შემდეგ კი ლონდონის რადიომ და ტელევიზიამ გადასცა საბჭოთა მთავრობის მეთაურის სიტყვის დაწერილებითი შინაარსი და იგი შეაფასა როგორც „უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი“ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაძაბულობის შენელების გზაზე.

„ივნინგ სტანდარდისა“ და „ივნინგ ნიუსის“ მიმომხილველები აღნიშნავენ: ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადებას, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის განახორციელოს პრაქტიკული ღონისძიებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ცივი ომის ლიკვიდაციისთვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახლა, როცა მოსკოვში მიმდინარეობს მოლაპარაკება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ.

ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადება, რომ საჭიროა ომების წარმოშობის თავიდან აცილების ღონისძიებათა საქმიანი განხილვა, ფართო პერსპექტივებს სახავს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ატმოსფეროს გაუმჯობესებისათვის, წერს გაზეთი „ივნინგ სტანდარდი“.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის სიტყვებმა, რომ მიზანშეწონილია დაწესდეს საკონტროლო საგუშაგოები საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე უეცარი თავდასხმის შესაძლებლობის თავიდან აცილების მიზნით, წერს „ივნინგ ნიუსი“, „შეიძლება ძირეული გარდატეხა გამოიწვიოს ცივი ომის თანამედროვე მდგომარეობაში.“

ვაშინგტონი სწავლობს

ვაშინგტონი, 20 ივლისი. (საკდესი). ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გეგმოსვლა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის მიტინგზე დედაქალაქის გაზეთების სალამოს გამოშვებისა და რადიო-ტელევიზიის გადაცემების მთავარი თემაა. ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შესახებ დიდ ყურადღებას უთმობენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წრეებში.

როგორც ამერიკის ტელეგრაფის სააგენტოები იუწყებიან, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კენედი ინტერესით სწავლობს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას.

წვლილი მშვიდობის საქმეში

დელი, 20 ივლისი. (საკდესი). ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვამ საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ხალხების მეგობრობის მიტინგზე კრემლში მიიპყრო ინდოეთის პრესისა და საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება. დელის გაზეთები პირველ გვერდზე ბეჭდავენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის გამოსვლის ვრცელ შინაარსს. პრესა განსაკუთრებით გამოყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვაში მოცემულ წინადადებებს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების შესახებ და აღნიშნავს, რომ დასავლეთის ხელმწიფეთა ბოერ მათი მიღება ხელს შეუწყობს პოლიტიკური კლიმატის დათბობას.

ყურადღების ცენტრში

ოსლო, 20 ივლისი. (საკდესი). ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის მიტინგზე მოსკოვში ნორვეგიის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. გაზეთებში იბეჭდება დეპეშები მიტინგის შესახებ მსხვილი შრიფტით და ყველაზე თვალსაჩინო ადგილებზე.

გაზეთი „აფტენმპოსტენი“ განმარტავს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას და მოწონებე სტატიაში ახასიათებს მას, როგორც საბჭოთა კავშირის ლოგიკური და კონკრეტული პოლიტიკის გამოხატულებას.

120 მილიონი კაცის სახელით

პრაღა, 20 ივლისი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც 120 მილიონი მშრომელის სახელით მოითხოვს გარიცხოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან და ხელი შეუწყოს იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა შეწყვიტონ ყოველგვარი ურთიერთობა მასთან, იუწყება ჩეხოსლოვაკიის დეპეშთა სააგენტო.

წერილში ხაზგასმულია, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ არაერთგზის მიაქცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყურადღება იმ არაადამიანურ პირობებს, რომლებშიც ცხოვრობს სამხრეთ აფრიკის მოსახლეობის უმრავლესობა, და დაგმო სამხრეთ აფრიკის აპარტეიდის ოფიციალური პოლიტიკა. მაგრამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული მთავრობა ღღითი დღე „აძლიერებს რეპრესიებისა და რასობრივი დისკრიმინაციის კამპანიას.

საჭიროა ყოველნაირად ვესწრაფოდეთ იმას, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობამ ხელი აიღოს რასისტულ პოლიტიკაზე, ანდა ადგილი დაუთმოს დემოკრატიულ მთავრობას.

ამერიკელ ოფიცერთა სარდლობით

პარიზი, 20 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო ქალაქ მანაგუიდან იუწყება, იმოწმებს რა ნიკარაგუის გაზეთ „ნასიონს“, ამქამად ნიკარაგუის ტერიტორიაზე ამერიკელ ოფიცერთა ხელმძღვანელობით წარმოებს „ვასტროს წინააღმდეგო“ რაზმების სამხედრო მანევრები.

„ნასიონი“ აგრეთვე აღნიშნავს, რომ არსებობს საიდუმლო შეთანხმება, რომლითაც ნიკარაგუის მთავრობამ ეგრეთწოდებულ „რევოლუციურ საბჭოს“, რომლის რეზიდენციაც ქალაქ მაიამიშია (ამერიკის შეერთებული შტატები), ვრცელი ტერიტორია მისცა კარიბის ზღვის სანაპიროზე წვრთნის მოსაწყობად.

ფაშისტებმა თავი წამოყვეს

ლონდონი, 20 ივლისი. (საკდესი). ინგლისის ფაშისტურმა ორგანიზაციამ „ნაციონალ-სოციალისტურმა მოძრაობამ“ დასავლეთ გერმანიაში გადაგზავნა რამდენიმე ათასი ფურცელი, რომლებიც დაიბეჭდა ლონდონში ხელისუფლების სათაოვეში ჰიტლერელების მოსვლის 30 წლისთავის გამო, იუწყება ასოშიეიშნ პრესის სააგენტო.

ფურცლებში, რომლებიც დაბეჭდილია გერმანულ ენაზე დასავლეთ გერმანიის მოსახლეობაში „გასაოცარ ლებლად, ინგლისელი ფაშისტები აცხადებენ, რომ „მსოფლიოში აღორძინდა ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა“ და სოლიდარობას უცხადებენ დასავლეთ გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების ფაშისტებს.

ნახატი კამბისა ფრანგულ გაზეთ „ლუმანიტედან“.

ინდოეთ ოტრაიტის მოთხოვნა

ბერლინი, 19 ივლისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ოიზენ ბტრაიტმა, რომელიც დღეს სბრალმდებლო სიტყვა წარმოთქვა პროცესზე ბონის სახელმწიფო მდივნის გლობკეს საქმის გამო, მოითხოვა ჩადენილი სამხედრო დანაშაულისა და ადამიანობის წინააღმდეგ დანაშაულისათვის გლობკეს მიესაჯოს სამუდამო პატიმრობა.

ატლანტიკის წიწილა

ფაშისტებმა თავი წამოყვეს

„გიგანტთა მატჩი“

ათენი ათასობით სპორტის მოყვარული ეწვია გუშინ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონს, სადაც საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა ნაკრები კოლექტივების ტრადიციული მატჩი.

შუა ზაფხულია, სეზონიც გაჩალებულია. ხალხიც გაიხედვ, ყველგან ფეხბურთის აფიშებია. ბევრია მატჩი—აქ არის ჩემპიონატიც, თასის გათამაშებაც. სპორტსმენური შეხვედრებიც. მაგრამ რა საინტერესოა უნდა იყოს ეს თუ ის თამაში, მუდამ გასხოვს ერთი, მომავალი, ყველაზე მთავარი, და ამიტომ ყოველივე იმაში, რაც დაგინახავს, უნებლიეთ ცდილობ გამოიცნო მისი შესაძლო კონტურები. ეს სეზონი ისე წარიმართა, რომ მისი კულმინაცია გადატანილია ბოლოსათვის, ოქტომბრისა და ნოემბრისათვის. თქვენ, რა თქმა უნდა, მიხვდით, რომ ლაპარაკია სსრ კავშირის და იტალიის ნაკრები გუნდების ორ შეხვედრაზე ერთა ევროპის თასის ფარგლებში.

რით აიხსნება ესოდენ დიდი ინტერესი ამ შეხვედრისადმი? (მე ვიცი, რომ იტალიაში იგი ნაკლები როდია, ვიდრე საბჭოთა კავშირში). აქ მთელი რიგი მიზეზებია. საბჭოთა ნაკრები, როგორც იცით, ევროპის თასის მფლობელია. მე კარგად მახსოვს წვიმიანი საღამო პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე და ის გრძნობა, რომ ყველაფერი ბეწვზე ეკიდა — ასეა ყოველთვის ერთმანეთის ღირსი ორი კონკურენტის გადამწყვეტ შეხვედრებში: ჩვენების წინააღმდეგ მაშინ თამაშობდნენ იუგოსლავები, რომლებსაც აბესტაცია არ ესაჭიროებათ. მერე ლამაზი გოლი, რომელიც თავით გაიტანა ვიქტორ პონედელნიკმა კარუსელური კომბინაციის შემდეგ, როცა ბურთმა წრეზე შემოუარა ყველა ნახევარმცველსა და ფორვარდს. მახსოვს პატარა ვიწრო გასახდელი და ჩაით სავსე ჭიქებსა და გაბნეულ გარგარს შუა მაგიდაზე მდგომი თასი. ერთი დღის შემდეგ კი ჩვენმა ნაკრებმა საპატიო წრე გააკეთა ხალხით გაჭედილ ცენტრალურ სტადიონზე მოსკოვში. ეს იყო 1960 წლის ზაფხულში. განა თქმა უნდა, რომ სამ წელიწადში შეიძლება შეეჩვიო თასს.

მაგრამ ცნობილია, რომ გამარჯვებულ ყოველთვის იწვევს უალრესად მწვავე წინააღმდეგობას მორიგ გათამაშებაში. იტალიელები — და ეს გასაგებია ჩვენთვის — ყველა საფუძველი აქვთ არასახუმარო დავა გაუმართონ სსრ კავშირის ნაკრებს. ისინი არცთუ კარგად (თუმცა და ისევე, როგორც ჩვენ) გამოვიდნენ ჩილის ჩემპიონატში და არ შეიძლება კომპენსაციას არ ეძებდნენ. იტალიის ნაკრების უკანასკნელი გამოსვლები კი მაყორულად გაისმა (გამარჯვება ბრაზილიელებსა და ავსტრიელებზე). გარდა ყოველივე ამისა, მწვანე სწორკუთხედზე ჯერ ერთხელაც არ შეხვედრიან ერთმანეთს ეს მოწინააღმდეგენი — დღემდე ჩვენი კონტაქტები იტალიის ფეხბურთთან კლუბების დონეზე ხდებოდა.

სიტუაცია მრავლისაღმთქმელია, და ამბები უცილობლად განვითარდება სპორტული ძალების უკიდურესი დაძაბვითა და მთელი მგზნებარებით.

ამ დღეებში „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციაში მესაუბრა მილანელი ჟურნალისტი სენიორ გირელი. მან განმიმარტა, რომ იტალია — სსრ კავშირის შეხვედრა თუმცა რომში მოხდება, მაგრამ მისი ქალაქისათვის იგი უფრო საინტერესო და არსებითიც არის, მილანი ხომ ახლა იტალიური ფეხბურთის ცენტრია თავისი პირველბარისხოვანი კლუბებით „მილანითა“ და „ინტერნაციონალეთი“. რომლებიც ნაკრებისათვის მოთამაშეთა ძირითადი მიმწოდებლები არიან. გირელი კარგად ერკვევა ფეხბურთში: მისი ინტერესი არ შემოიფარგლებოდა ნაკრებით. მას უნდოდა რაც შეიძლება მეტი დაემარშრუტა — სცდება კარის ბადეს. საკმარისია ითქვას, რომ ჩემპიონატის დღევანდელ ლიდერებს — მოსკოვის დინამოელებს (აქტივში თუ პასივში?) აქვთ შვიდი ფრე 0:0 ანგარიშით. რა თქმა უნდა, მხედველობაში მისაღებია, რომ თავდაპირველად, გაზაფხულიდან, ჩვენში თამაში როგორღაც ვერ აეწყობა ხოლმე, და მივეჩვიეთ, რომ საუკეთესო ფეხბურთი შემოდგომისაა. არის სხვა მოსაზრებაც. ფეხბურთში განსხვავებული ანგარიშის ასორტიმენტი არცთუ ისე დიდია, იგი წლითიწლობით მეორდება. ჰოდა აი ზოგნი გვარწმუნებენ, სადაც ნულები იყო, ყოველთვის საკმაო შედეგები არის და, მაშასადამე, საჭირო არ არის მათ უურადღებას ვაქცევდეთო.

„ბოლოს ატომური ქალები“

ინდოეთ ოტრაიტის მოთხოვნა

ფაშისტებმა თავი წამოყვეს

... ბავშვები გადაარჩინა

ბიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცით დატვირთული შემადგენლობა რკინიგზის სადგურიდან უკუსვლით შედიოდა ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის ჩიხში. ლიანდაგზე პატარა ზუთაბ და ლალი ხიხაძეები გამოსულიყვნენ და თამაშობდნენ. ხუთი წლის ბავშვები ვერც კი გრძნობდნენ საშიშროებას. მაგრამ ბავშვებს თვალი მოჰკრა გადამბმელმა მ. ბიწაძემ. მან საგზაურად გაიღო საჰაერო ონკანი, შემადგენლობის სიჩქარე შეანელა, სწრაფად გადმოხტა, ბავშვებს მიაშურა და ლიანდაგიდან გადაიყვანა. წამიც, და შემადგენლობამ მშვიდობიანად ჩაიარა. მ. ბიწაძის გაბედულებამ და სიმამაცემ ორი ბავშვი იხსნა. მაგრამ რატომ ტოვებენ მშობლები ასე უმეთვალყურეოდ უსუსურ ბავშვებს?

„ოქროს რაპირისტი“

ბდანსკში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში. რაპირისტ ქალთა შორის ბრძოლაში ჩემპიონის ტიტული და ამასთან ერთად ოქროს მედალი მოიპოვა უნგრელმა სპორტსმენმა ილდიკო რეიტომ. საბჭოთა მოფარიკაკეებს შორის უძლიერესი იყო ა. ზაბელინა, რომელმაც მეექვსე ადგილი დაიკავა.

... ალამი ... ალმართეს

ვოლგოგრადი. 20 ივლისი. (ტელეფონით სპეც. კორ.). დიდი სპორტული ზეიმი იყო გუშინ ვოლგოგრადში. ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა. სპორტსმენ გოგონებსა და ჭაბუკებს მიესალმა. გმირი კოსმონავტი გ. ტიტოვი.

ალამის აღმართვის შემდეგ ბრძოლაში ჩაებნენ მძლეოსნები. პირველ დღეს წარმატება მოიპოვეს ლენინგრადისა და საქართველოს სპორტსმენებმა. ჭაბუკთა შორის ესტაფეტაში 4×100 მეტრზე ლენინგრადელებმა საკავშირო რეკორდი (42,6 წამი) დაამყარეს, ხოლო საქართველოს მძლეოსნებმა — რესპუბლიკური რეკორდი (43 წამი).

დაიწყო ბრძოლა ველოსპორტში. ჭაბუკთა 25 კილომეტრზე რბოლაში ჩვენმა გუნდმა მეხუთე ადგილი დაიკავა. მაგიდის ჩოგბურთელებმა ბოლო ტურში წაიბრძოლეს და მეექვსე ადგილს დასჯერდნენ. ცურვაში პირველი დღის შედეგებით ჩვენი ჭაბუკები მეოთხე ადგილზე აღმოჩნდნენ, გოგონები — მეცხრეზე. პირად ასპარეზობაში კ. ანსიმოვმა და მ. კრავცოვმა საქართველოს ახალი რეკორდები დაამყარეს 200 მეტრზე ბრასსის, და 1.500 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში — 2 წუთი და 43,7 წამი და 19 წუთი და 56 წამი.

სპარტაკიადა გრძელდება.

რედაქტორი

დ. მჰედლიშვილი.

სურათზე: რუსთაველის კულტურისა და დასვენების პარკში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გულითადი შეხვედრა

ბაქო, 20 ივლისი. (საკდესის კორ.). ნახევარი თვის წინათ მ. ფ. ახუნდოვის სახელობის თეატრში გაისმა პირველი ტაში, რომლითაც დაჯილდოვეს ქართველი მეგობრები — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობები.

ამ დღეებში, სპექტაკლებისა და რეპეტიციებისაგან თავისუფალ დროს, ქართული ხელოვნების ოსტატები მოძმე აზერბაიჯანის დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა ხშირი სტუმრები არიან. გულითადად შეხვდნენ ქართველ სტუმრებს ბაქოს უძველესი ნავთობის რაიონის მუშები, რომელიც სერგო ორჯონიკიძის სახელს ატარებს.

— რომ იცოდეთ, ძვირფასო მეგობრებო, — თქვა მეექვსე სარეწის ოსტატის თანაშემწემ ისმაილ ყულიევმა, — რაოდენ სიხარულს გვანიჭებს თქვენი ხელოვნება! ჩვენს ხელს არ ღლის ბურღვა, სამაგიეროდ ხელი გვეწვის ტაშისაგან, რომლითაც სულითა და გულით გაჯილდოვებთ თქვენ.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის დირექტორმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. მჭედლიძემ მადლობა გადაუხადა მენავთობეებს გულთბილი შეხვედრისათვის.

შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა პ. ამირანაშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა თ. თაქთაქიშვილმა, ე. ხიჯაკაძემ, გ. ტორონჯაძემ და სხვებმა.

კიბერნეტიკა განაქიმი

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). შავი ზღვის სანაპიროზე გრიგოლეთი საუკეთესო საკურორტო ადგილია, აქ ყოველწლობით ისვენებენ და ჯანმრთელობას იკაქებენ ლანჩხუთელი პიონერები.

ამჟამად 100-მდე მოსწავლე ისვენებს გრიგოლეთის პიონერთა ბანაკში. აქ მათთვის შექმნილია ყოველგვარი პირობები დასვენებისა და აღზრდისათვის. პიონერები დადიან საცურაოდ, მათთვის ეწყობა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებანი, კულტურული გართობა.

... ბავშვები გადაარჩინა

... ბავშვები გადაარჩინა

... ბავშვები გადაარჩინა